ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ ეროვნული
ტფილისი
სახელმწიფო ბიბლიოთეკა

კანონთა და განკარგულებათა კრებული

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა მთავრობისა.

1928 წლის თებერვლის 25.	№ 4 ვანყოფილება პირველი	ა/კ. ც. ა. კომიტ. საკანონმდებლო კომისიასთან არსებული კანონთა გამოქვეყნების განყოფილების მიერ გამოცემული.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

მუხ. 43. ძირითადი დებულებანი მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების შესახებ ა/კსფსრ-ში.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

43. ა/კსფსრ-ში მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების ძირითად დებულებათა დამტკიცების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს: დამტკიცებულ იქნეს შემდეგი ძირითადი დებულებანი.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1928 წლის თებერვლის 20. ტფილისი-სასახლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძირითადი დებულებანი მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების შესახებ ა/კსფსრ-ში.

თავი I

ზოგადი დებულებანი.

1. მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოები მოეწყობიან ა/კსფსრ იმ ქალაქებში, სადაც მუშათა მოსახლეობა სცხოვრობს, და მუშებით დასახლებულ ადგილებში.

შენიშვნა. იმ ქალაქების სიას, სადაც მოწყობილ უნდა იქნენ საქალაქო საბჭოები, დაადგენენ ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტები, კუთვნილებისამებრ.

2. ყველა სხვა ქალაქში, საქალაქო საბჭოს ნაცვლად, მოეწყობა სოფლის საბჭო, რომელიც მოქმედობს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების მიერ გამოცემულ დებულებათა საფუძველზე.

3. მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საქალაქო საბჭო ქალაქის ტერიტორიაზე არის ხელისუფლების უმაღლესი ორგანო, რომელიც აერთიანებს მთლად მშრომელ მოსახლეობას საერთო-სახელმწიფოებრივ და ადგილობრივ მმართველობასა და საბჭოთა აღმშენებლობაში მონაწილეობის მისაღებად.

4. დედაქალაქსა და აგრეთვე იმ ქალაქში, რომელიც წარმოადგენს სამაზრო (საოლქო) ცენტრს ეროვნული უმცირესობით, რესპუბლიკანური ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილების თანახმად, შეიძლება მოეწყოს სარაიონო საბჭო.

შენიშვნა. სარაიონო საბჭო მოქმედობს მის შესახებ გამოცემული განსაკუთრებული დებულების საფუძველზე, რომელსაც შეიმუშავებს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი.

5. საქალაქო საბჭო თავისი მუშაობისათვის პასუხს აგებს საბჭოთა ყრილობის წინაშე, ხოლო ყრილობიდან ყრილობამდე—სათანადო აღმასრულებელი კომიტეტის წინაშე.

6. საქალაქო საბჭოს არჩევნებში მონაწილეობას მიიღებს მხოლოდ მშრომელი მოსახლეობა იმ საფუძვლების თანახმად, რაც დაწესებულია ა/კსფსრ და მის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ძირითადი კანონებით (კონსტიტუციებით), ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საარჩევნო ინსტრუქციით და აზერბაიჯანისა, სომხეთისა და საქართველოს რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების ინსტრუქციებით.

7. თვითეული ქალაქისათვის საქალაქო საბჭოს ასარჩევად საარჩევნო ნორმა და აგრეთვე საქალაქო საბჭოს წევრთა რაოდენობა დაწესდება ა/კსფსრ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ძირითადი კანონების (კონსტიტუციების) თანახმად.

8. საქალაქო საბჭო აირჩევა ერთი წლის ვადით.

9. ქალაქის სარაიონო საბჭო აირჩევა საქალაქო საბჭოს არჩევასთან ერთად; ამასთანავე ქალაქის სარაიონო საბჭოს წევრი შეიძლება არც იქნეს საქალაქო საბჭოს წევრი.

10. საქალაქო საბჭოს თავის მოქმედებაში მუდმივი კავშირი უნდა ჰქონდეს მშრომელ მოსახლეობასთან, მონაწილეობა უნდა მიაღებინოს ამომრჩევლებს საბჭოს პრაქტიკულ მუშაობაში სექციებისა და კომისიების მეშვეობით და აგრეთვე ამომრჩევლების მიერ საქალაქო საბჭოს წინაშე მდგარი საკითხების განხილვით და ანგარიში წარუდგინოს მშრომლებს ამომრჩეველთა საერთო კრებებზე.

11. საქალაქო საბჭოს ესა თუ ის დეპუტატი გამოვა საბჭოს შედგენილობიდან:

ა) ამომრჩეველთა კრების დადგენილებით დეპუტატის უკან გაწვევის შესახებ, რაც მიღებულ უნდა იქნეს ხმის მარტივი უმეტესობით იმ უბნის საარჩევნო კრებაზე, სადაც დეპუტატი იქნა არჩეული, უკეთუ ამასთანავე კრებაში მონაწილეობა მიიღო არა ნაკლებ ამ უბნის ამომრჩეველთა 50%-სა;

ბ) დეპუტატის საკუთარი სურვილით, რასაც დეპუტატი განუცხადებს თავის ამომრჩევლებს ან საქალაქო საბჭოს პრეზიდიუმს;

გ) საქალაქო საბჭოს დადგენილებით, დეპუტატის მიერ საარჩევნო უფლებათა დაკარგვასთან დაკავშირებით, ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის საარჩევნო კანონმდებლობისა და ძირითადი კანონის (კონსტიტუციის) თანახმად.

შენიშვნა 1. საქალაქო საბჭოს არა აქვს უფლება გამორიცხოს დეპუტატი თავისი შედგენილობიდან საკუთარი დადგენილებით იმ შემთხვევებს გარდა, რაც გათვალისწინებულია ამა მუხლის „ბ“ და „გ“ პუნქტებით და ამავე მუხლის მე-2 შენიშვნით.

შენიშვნა 2. საჭირო შემთხვევაში (უკეთუ დეპუტატი საბჭოს სხდომებს არ ეესწრება, მასზე დაკისრებულ მოვალეობას არ ასრულებს, დეპუტატისათვის შეუფერებელ ყოფაქცევას იჩენს და სხვ.), საქალაქო საბჭო აღძრავს საკითხს ამომრჩევლების წინაშე დეპუტატის უკან გაწვევის შესახებ. საარჩევნო კრების დადგენილება საბოლოოა და არ განისაჩივრება.

12. საბჭოდან გამოსული წევრების ნაცვლად მის შედგენილობაში შედიან, კანდიდატების სიის რიგის მიხედვით, ის კანდიდატები, რომლებიც არჩეულ იყვნენ იმავე საარჩევნო უბნის საარჩევნო კრების მიერ. უკეთუ კანდიდატები არ არის, დაინიშნება ნაწილობრივი დამატებითი არჩევნები სათანადო საარჩევნო უბანში.

13. საქალაქო საბჭოს აქვს იურიდიული პირის ყველა უფლება.

14. საქალაქო საბჭოს აქვს ბეჭედი დადგენილი სახისა, სახელმწიფო ღერბის გამოხატულებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი II

საქალაქო საბჭოს გამგებლობის საგანი მმართველობის ცალკე დარგებში.

15. საქალაქო საბჭო გადასწყეტს საქალაქო მნიშვნელობის საკითხებს და განიხილავს სამაზრო და რესპუბლიკანური მნიშვნელობის საკითხებს.

ა. საორგანიზაციო დარგში.

16. საორგანიზაციო დარგში საქალაქო საბჭო:

ა) მოაწყობს ქალაქის საარჩევნო კომისიებს;

ბ) შეადგენს და აწარმოებს ამომრჩეველთა და საარჩევნო უფლება-ჩამორთმეულ პირთა სიებს;

გ) აირჩევს დელეგატებს საბჭოთა სამაზრო, რესპუბლიკანური და ფედერატიული ყოილობებისათვის;

დ) მოაწყობს ქალაქის სარაიონო საბჭოებს და ხელმძღვანელობას გაუწევს მათ მოქმედებას;

ე) აირჩევს საქალაქო საბჭოს პრეზიდიუმს;

ვ) განსაზღვრავს საქალაქო საბჭოს სექციების რიცხვს, გაანაწილებს სამუშაოს მათ შორის, გაანაწილებს საქალაქო საბჭოს წევრებს სხვადასხვა სექციებს შორის და დაამტკიცებს სექციების მიერ არჩეულ სექციათა თავმჯდომარეებს;

ზ) ხელმძღვანელობას გაუწევს სექციების მოქმედებას;

თ) აირჩევს კომუნალური მეურნეობის საქალაქო განყოფილების გამგეს;

შენიშვნა. აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებათა გამგეების დანიშვნა სწარმოებს აუცილებლად საქალაქო საბჭოს პრეზიდიუმთან შეთანხმებით.

ი) დანიშნავს ქალაქის მილიციის უფროსს იმ ქალაქებში, სადაც ქალაქის მილიციის ცალკე სამმართველო არსებობს;

კ) დანიშნავს უშუალოდ ან თავის აღმასრულებელ ორგანოთა მეშვეობით ქალაქის ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებათა და საწარმოთა გამგეებს;

ლ) შეუფარდებს დისციპლინარული ზეგავლენის ღონისძიებას საქალაქო საბჭოს წევრსა და იმ პირს, ვინც არჩეულ ან ქალაქის საბჭოს მიერ დანიშნულ იქნება თანამდებობაზე ადგილობრივი მმართველობის ყოველ დარგში კანონით დადგენილ ფარგლებში და წესისამებრ;

მ) ხელმძღვანელობას გაუწევს ქალაქის ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებათა, საწარმოთა და თანამდებობის პირთა მოქმედებას;

ნ) განიხილავს და დაამტკიცებს კომუნალური მეურნეობის საქალაქო განყოფილებისა და სათანადო აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებების სამუშაოთა გეგმებს საქალაქო სამუშაოთა დარგში, და აგრეთვე ხელმძღვანელობას გაუწევს საამისო მუშაობას;

ო) მეთვალყურეობას გაუწევს საქალაქო საბჭოს არაქვემდებარე ადგილობრივი მნიშვნელობის დაწესებულებათა და საწარმოთა მოქმედებას, მათ ოპერატიულ მოქმედებაში ჩაურევლად, მოისმენს მათ მოხსენებებს და, უკეთუ საჭი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რო იქნება, წარუდგენს ხელისუფლების სათანადო ორგანოს განცხადებას იმ თანამდებობის პირთა ჩამოცილების შესახებ, რომელთა მოხსნაც ხელისუფლების ზემდგომ ორგანოზეა დამოკიდებული;

ბ) საკითხს აღძრავს, კანონით დადგენილი წესისამებრ, ხელისუფლების ზემდგომ ორგანოთა ამა თუ იმ დადგენილების გაუქმებისა თუ შეცვლის შესახებ ან ახალი დადგენილებისა და განკარგულების გამოცემის შესახებ;

ქ) წარუდგენს პერიოდულად ანგარიშს ამომრჩევლებს საქალაქო საბჭოს მოქმედების შესახებ;

რ) ხელს შეუწყობს ქალაქის საზოგადოებრივ ორგანიზაციათა მუშაობას.

ბ. ადმინისტრატიულ დარგში.

17. ადმინისტრატიულ დარგში საქალაქო საბჭო:

ა) გამოსცემს სავალდებულო დადგენილებას უწყებული ქალაქისათვის ქალაქის ყოფა-ცხოვრებისა და ქალაქის მმართველობის საკითხების შესახებ, და აგრეთვე დააწესებს პასუხისმგებლობას ადმინისტრატიული ან სასამართლოს წესით აღნიშნული სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის;

ბ) შეიფარდებს ადმინისტრატიული ზეგავლენის ღონისძიებას სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის კანონმდებლობით დაწესებულ ფარგლებში;

გ) თვალყურს ადევნებს, რათა მის მიერ გამოცემულ სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის ადმინისტრატიული ზეგავლენის ღონისძიება სისწორით იქნეს შეფარდებული, განიხილავს საჩივრებს და სათანადო შემთხვევაში გააუქმებს ან შესცვლის ადმინისტრატიულ განყოფილებათა დადგენილებებს დარღვევისათვის ადმინისტრატიული ზეგავლენის ღონისძიების შეფარდების შესახებ;

დ) ხელმძღვანელობას გაუწევს ქალაქის მილიციისა და სისხლის სამართლის მაძებარი მილიციის მოქმედებას;

ე) თვალყურს ადევნებს სახელმწიფოსაგან ეკლესიისა და ეკლესიისაგან სკოლის ჩამოშორების შესახებ გამოცემული დეკრეტის აღსრულებას; გადასცემს სარგებლობისათვის მორწმუნეთა ორგანიზაციებს ხელშეკრულებით კულტის შენობებს და სხვა ქონებას, რასაც საკულტო მნიშვნელობა აქვს; საერთო მეთვალყურეობას გაუწევს ამ ხელშეკრულებათა შესრულებას და რელიგიურ ორგანიზაციათა მოქმედებას ქალაქის ფარგლებში;

ვ) მიიღებს და განიხილავს სათანადო შემთხვევაში საჩივრებს საქალაქო საბჭოს ქვემდებარე დაწესებულებათა და თანამდებობის პირთა მოქმედების შესახებ.

გ. სასამართლოს წყობილებისა და სამართლის წარმოების დარგში.

18. სასამართლოს წყობილებისა და სამართლის წარმოების დარგში საქალაქო საბჭო:

ა) ხელს შეუწყობს რევოლიუციონური კანონიერების განხორციელებას;

ბ) აარჩევს და უკან გაიწვევს სახალხო მოსამართლეებს და დაამტკიცებს ქალაქის უბნების სახალხო გამომძიებლებს იმ წესით, რაც გათვალისწინებულია სასამართლოს წყობილების დებულებით ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ თვითეულ რესპუბლიკაში;

გ) მონაწილეობას მიიღებს სახალხო მოსამართლეთა და ქალაქის უბნების სახალხო გამომძიებელთა დამტკიცებასა და უკან გაწვევაში იმ ქალაქში, რომელიც სამაზრო ცენტრს არ წარმოადგენს, თავისი დასკვნის სათანადო აღმასრულებელი კომიტეტისათვის წარდგენთ; აღმასრულებელ კომიტეტს უფლება არა აქვს აღნიშნული დასკვნის გარეშე საბოლოოდ გადასწყვეტოს საკითხი უწყებული სახალხო მოსამართლეთა დანიშვნისა და ქალაქის სახალხო გამომძიებელთა დამტკიცების შესახებ;

დ) დაამტკიცებს ქალაქში სახალხო მოსამართლეთა უბნებისა და სანოტარო კონტორების რაოდენობას;

ე) მოისმენს პროკურატურისა და სასამართლო-საგამომძიებლო ორგანოების მოხსენებებს მათი მოქმედების შესახებ.

ვ) მიიღებს ღონისძიებას მშრომელი მოსახლეობისათვის იურიდიული დახმარების აღმოჩენის საქმის მოსაწყობად.

დ. საფინანსო-საგადასახადო დარგში.

19. საფინანსო-საგადასახადო დარგში საქალაქო საბჭო:

ა) შეადგენს, განიხილავს, დაამტკიცებს და შეასრულებს ქალაქის ბიუჯეტს, და აგრეთვე დაამტკიცებს ანგარიშს მისი შესრულების შესახებ, ადგილობრივი ფინანსების კანონმდებლობის თანახმად;

შენიშვნა. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტებმა, კუთვნილებისამებრ, არა უგვიანეს ერთი თვისა ქალაქის ბიუჯეტის მიღების დღიდან, განკარგულება უნდა გასცენ ბიუჯეტში ცვლილებათა შეტანის შესახებ; ამასთანავე ეს ცვლილებანი შეტანილ უნდა იქნეს ორი კვირის განმავლობაში თვით იმ საბჭოს მიერ, რომელმაც ბიუჯეტი შეადგინა.

ბ) გადაიტანს საჭირო შემთხვევაში კრედიტს ქალაქის ბიუჯეტის ერთი მუხლიდან მეორეში ან ერთი პარაგრაფიდან მეორე პარაგრაფში ერთი და იმავე კარის ფარგლებში, თანხის შეუზღუდველად, ხოლო განსაკუთრებულ შემთხვევაში—ერთი კარიდან მეორეში;

გ) თვალყურს ადევნებს ქალაქის ტერიტორიაზე ცენტრალური ხელისუფლების მიერ დაწესებული სახელმწიფო გადასახადებისა და გამოსაღების სისწორით განხორციელებას და ღონისძიებას მიიღებს, რათა აღნიშნული გადასახადები და გამოსაღები სახელმწიფო ხაზინაში თავის დროზე შედიოდეს;

დ) გადასწყვეტს საჩივრებს სათანადო საფინანსო ორგანოს მოქმედებისა და დადგენილების შესახებ საგადასახადო საქმეთა გამო;

ე) დაიწესებს და გადაახდევინებს საქალაქო გადასახადსა და გამოსაღებს იმ წესითა და იმ ფარგლებში, რაც დადგენილია მომქმედი კანონმდებლობით;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ) დააწესებს ქალაქის საჭიროებათა უზრუნველსაყოფად საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადების ზედნართს იმ წესითა და იმ ფარგლებში, რაც განსაზღვრულია კანონითა და ხელისუფლების ზემდგომ ორგანოთა დადგენილებებით;

ზ) აღძრავს შუამდგომლობას ახალი გადასახადისა და გამოსაღების დაწესების შესახებ;

თ) დაამტკიცებს დადგენილებას იმ ადგილობრივი გადასახადისა და გამოსაღების და არასაგადასახადო შემოსავლის თანხის ჩამოწერისა, ვადის გაგრძელებისა, ვადის განაწილებისა და დაბრუნების შესახებ, რაც ქალაქის ბიუჯეტით იკრიფება;

ი) მოაწყობს საკრედიტო და გამსესხებელ დაწესებულებებს;

კ) გამოსცემს წესებსა და ინსტრუქციებს ქალაქის ბიუჯეტისათვის ანგარიშგების წესის შესახებ;

ლ) აიღებს სესხს, კანონით დადგენილი წესისამებრ, სახელმწიფო, კოოპერატიულ და კერძო დაწესებულებისაგან, ავრეთვე ცალკე პირისაგან თამასუქითა და სხვა ვალდებულებით.

ე. სამეურნეო დარგში.

20. სამეურნეო დარგში საქალაქო საბჭო:

ა) საჭირო შემთხვევაში გამოპყოფს კომუნალურ განყოფილებას;

ბ) ჰფლობს მთლად ქალაქის ქონებას და განაგებს მას მომქმედი კანონმდებლობის ფარგლებში;

გ) ეწევა ქალაქის საწარმოთა ექსპლოატაციას, რისთვისაც ან უშუალოდ ამტკიცებს მათ საწარმოო გეგმებს, ხარჯთაღრიცხვებს, ანგარიშებს და სხვ., ან იჯარით გასცემს მათ და თვალყურს ადევნებს მოიჯარადრეთა მიერ საიჯარო ხელშეკრულებათა ყველა პირობის შესრულებას, ან ეწევა მათ ექსპლოატაციას კანონით განსაზღვრული სხვა საშუალებით;

დ) მოაწყობს როგორც საწარმოო, ისე სავაჭრო ხასიათის ახალ საწარმოთ და ამ სფეროში თავის მომქედებას შეუფარდებს რესპუბლიკანური და ადგილობრივი მრეწველობის განვითარების საერთო გეგმას;

ე) განაგებს ზემდგომ ორგანოთა ქვემდებარე საწარმოთ ამ ორგანოთაგან მისთვის მიცემული განსაკუთრებული რწმუნებამოსილობის საფუძველზე;

ვ) გაუწევს კონტროლს ადგილობრივი მნიშვნელობის სამეურნეო ხასიათის საწარმოთ და დაწესებულებათ, რომელნიც საქალაქო საბჭოს განკარგულებაში არ იმყოფებიან, ხოლო უფლება არა აქვს მათ მოქედებაში ჩაერიოს, და დახმარებას აღმოუჩენს მათ მუშაობაში;

ზ) განაგებს მთლად ადგილობრივი კომუნალური მშენებლობისა და, კერძოდ—საბინაო მშენებლობის განვითარებისათვის წარმოებულ მუშაობას, მოაწყობს საბინაო მშენებლობის დამხმარე კომიტეტებს, მოაწესრიგებს საბინაო საქმეს, განაგებს, მომქმედ კანონდებულებათა ფარგლებში, საცხოვრებელ სივრცეს და დაამტკიცებს, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში, დადგენილებებს საცხოვრებელი სადგომიდან ადმინისტრატიული წესით გამოსახლებისა და გადასახლების შესახებ;

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

თ) დააწესებს მომქმედი კანონმდებლობის საფუძველზე საბინაო ქირის ნორმებს და თვალყურს ადევნებს მათ განხორციელებას;

ი) დააწესებს ტარიფს კომუნალური მომსახურეობის სარგებლობისათვის;

კ) მოაწყობს კომუნალური კრედიტს;

ლ) მოაწყობს და განაგებს ქალაქის საბარგო და სამგზავრო ტრანსპორტს;

მ) განაგებს სახანძრო და ხანძრის საწინააღმდეგო ღონისძიებათა განხორციელების საქმეს და ხელს შეუწყობს ცეცხლსმძლე მშენებლობის განვითარებას;

ნ) აწარმოებს მუშაობას იმ ქონების ინვენტარიზაციისა და შეფასებისათვის, რაც საქალაქო საბჭოს გამგებლობაშია;

ო) ხელმძღვანელობას გაუწევს მთლად ქალაქის კეთილმოწყობის წარმატებისათვის წარმოებულ მუშაობას;

პ) ხელს შეუწყობს ქალაქის მრეწველობისა და ვაჭრობის განვითარებას და მოაწესრიგებს მათ მომქმედი კანონების ფარგლებში;

ჟ) ყოველმხრივ დახმარებას გაუწევს ყველა სახის კოოპერაციას და კერძოდ შინამრეწველურ-სასარეწაო შენაერთებს;

რ) განაგებს ქალაქის მიწებისა და სანახების ექსპლოატაციას და მათი იჯარით გაცემას;

ს) გასცემს ნებართვას, მომქმედი კანონმდებლობის თანახმად, საშენი მასალისა (თიხა, ქვა, სილა, და სხვ.), აგრეთვე საწისქვილე და სალესი ქვის და სხვა, ნაკლებად ძვირფასი სამთამადნო ჯიშების დასამუშავებლად, უკეთუ აღნიშნული მადნების საბადო ქალაქის ფარგლებშია და ქალაქის საბჭოს გამგებლობაში;

ტ) აწარმოებს საჭირო მუშაობას ქალაქის მიჯნის დასადგენად, მელიორაციის მოსაწყობად, ქალაქის დასაგეგმად და მიწის ნაკვეთების გასაცემად საალნაგო და სასოფლო-სამეურნეო სარგებლობისათვის, და დამტკიცებს დადგენილებათა პროექტებს ცალკე კარმიდაჭოთა მიჯნების გასწორების შესახებ, კანონით დაწესებულ შემთხვევებსა და ფარგლებში;

უ) მიიღებს ღონისძიებას ქალაქის ფარგლებში სამინდვრო და სატყეო მეურნეობის მოსაწესრიგებლად და განსანვითარებლად;

ფ) ხელს შეუწყობს ქალაქის ფარგლებში მესაქონლეობის განვითარებას და ბაღებისა და სამიწათმოქმედო მეურნეობის სხვა დარგების მოწყობას;

ქ) განაგებს ქალაქის სავეტერინარო-სამკურნალო და სავეტერინარო-სასანიტარო დაწესებულებათა ქსელს, რაც ადგილობრივ ბიუჯეტზეა;

ღ) მოაწყობს ახალ სავეტერინარო-სამკურნალო და სავეტერინარო-სასანიტარო დაწესებულებებს;

ყ) ხელს შეუწყობს ქალაქის ტერიტორიაზე იმ სავეტერინარო-პროფილაქტიურ ღონისძიებათა გატარებას, რასაც ხელისუფლების ზემდგომი ორგანოები ანხორციელებენ;

შ) მოაწყობს ქალაქის ფარგლებში სავეტერინარო ზედამხედველობას და ეპიზოოტიასთან ბრძოლას.

3. შრომის მოწესრიგებისა და დაცვის დარგში.

21. შრომის მოწესრიგებისა და დაცვის დარგში საქალაქო საბჭო:

ა) თვალყურს ადევნებს სახელმწიფო, საზოგადოებრივ და კერძო საწარმოთა მიერ შრომის დაცვისა და სამუშაო ხელფასის შესახებ არსებული კანონ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნებისა და წესების აღსრულებას და აგრეთვე კოლექტიურ და შრომის ხელშეკრულებათა და სხვ. აღსრულებას;

ბ) მოაწესრიგებს მომქმედი კანონების ფარგლებში შრომის ბაზარს და აწარმოებს ბრძოლას უმუშევრობის წინააღმდეგ, რისთვისაც, შრომის ორგანოებთან შეთანხმებით, დაარსებს საშუამავლო ბიუროებს, მოაწყობს საზოგადოებრივ სამუშაოებს, საზოგადოებრივ კვებას და სხვ.;

გ) განახორციელებს სანიტარულ-ტეხნიკურ ღონისძიებათ დაწესებულებებსა და საწარმოში შრომის პირობების გასაუმჯობესებლად;

დ) მოაწყობს დასასვენებელ სახლებს;

ე) თვალყურს ადევნებს სოციალური დახლვევის კანონებისა და წესების განხორციელებას;

ვ) ხელს შეუწყობს პროფესიონალურ შენაერთთა მოქმედებას.

ზ. კულტურულ-განმანათლებელ დარგში.

22. კულტურულ-განმანათლებელ დარგში საქალაქო საბჭო:

ა) განაგებს მთლად კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებათა ქსელს, რაც ქალაქის ბიუჯეტზეა;

ბ) თვალყურს ადევნებს ,იმ დაწესებულებათა მოქმედებას, რაც საქალაქო საბჭოს არ ექვემდებარება (უმაღლესი სასწავლებლები და საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებანი);

გ) დაამტკიცებს ქალაქის კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებათა ქსელს ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების დირექტივებთან შეთანხმებით;

დ) დააწესებს ახალ კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებებს (სკოლებს, კურსებს, კლუბებს, მუზეუმებს, ბიბლიოთეკებს, სამკითხველოებს, თეატრებს და სხვ.);

ე) მიიღებს ღონისძიებას სახალხო განათლების დაწესებულებათა მოსწავლეების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, კერძოდ, მატერიალური და სხვა დახმარების აღმოსაჩენად უღარიბეს მშობელთა ბავშვებისათვის, რათა ამ უკანასკნელთ მიეცეთ ფაქტიური შესაძლებლობა სკოლაში სიარულისა;

ვ) აწარმოებს ბრძოლას ბავშვთა უპატრონობის წინააღმდეგ, მოაწყობს და შეინახავს საბავშვო სახლებს და ხელმძღვანელობას გაუწევს მათ მოქმედებას;

ზ) მიიღებს ღონისძიებებს კულტურისა და ბუნების ძეგლთა დასაცავად;

თ) მიიღებს სხვა ღონისძიებებს ქალაქის მოსახლეობის კულტურული და პოლიტიკური დონის ასამაღლებლად და აგრეთვე წერა-კითხვის უცოდინარობისა და მცირე-ცოდნის სალიკვიდაციოდ;

თ. სახალხო ჯანმრთელობის დაცვის დარგში.

23. ჯანმრთელობის დაცვის დარგში საქალაქო საბჭო:

ა) განაგებს მთლად ქალაქის მოსახლეობისათვის იმ სამკურნალო და სამკურნალო-პროფილაქტიური დახმარების აღმოჩენის დაწესებულებათა ქსელს, რაც ადგილობრივ ბიუჯეტზეა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) თვალყურს ადევნებს ჯანმრთელობის დაცვის იმ დაწესებულებათა მოქმედებას, რაც ქალაქის საბჭოს არ ექვემდებარება;

გ) მოაწყობს ახალ სამკურნალო და სამკურნალო-პროფილაქტიურ დაწესებულებებს ხელისუფლების ზემდგომი და ცენტრალური ორგანოების დირექტივების მიხედვით;

დ) მოაწყობს ეპიდემიურ, სოციალურ და პროფესიონალურ დაავადებასთან ბრძოლის საქმეს და მიიღებს ღონისძიებას მისი გავრცელების თავიდან ასაცილებლად;

ე) მიიღებს ღონისძიებას ქალაქის გაჯანსაღებისათვის სანიტარულ და პროფილაქტიურ ღონისძიებათა მოწყობით და განხორციელებით. აგრეთვე ხელს შეუწყობს ხელისუფლების ზემდგომი ორგანოების ყველა სამკურნალო და სასანიტარო-პროფილაქტიური ღონისძიების განხორციელებას, კერძოდ დაეხმარება ქალაქის ტერიტორიაზე მომქმედ ამ ორგანოების ქვემდებარე დაწესებულებებს;

ვ) მოაწყობს სანიტარულ ზედამხედველობას ქალაქში;

ზ) მიიღებს ღონისძიებას ფიზიკური კულტურისა და სროლის სპორტის განსავითარებლად;

თ) ხელს შეუწყობს დედობისა და ჩვილობის დაცვის საქმეს;

ი) მოაწყობს სბავშვო ბაგებს, მოედნებს და სხვ.

ი. სოციალური უზრუნველყოფის დარგში.

24. სოციალური უზრუნველყოფის დარგში საქალაქო საბჭო:

ა) განაგებს სოციალური უზრუნველყოფის ყველა დაწესებულებას, რომელიც ქალაქის ბიუჯეტზე იმყოფება და თვალყურს ადევნებს იმ დაწესებულებათა მოქმედებას, რომელნიც ქალაქის ტერიტორიაზე იმყოფებიან და ქალაქის საბჭოს არ ექვემდებარებიან;

ბ) მოაწყობს ინვალიდთა სახლებს და სოციალური უზრუნველყოფის სხვა დაწესებულებებს, შეინახავს მათ და ხელმძღვანელობას გაუწევს მათ მოქმედებას;

გ) ხელს შეუწყობს ინვალიდთა კოოპერაციისა, დახმარებისა და ურთიერთი დახმარების საზოგადოებათა მოწყობას და განვითარებას;

დ) განახორციელებს სხვა ღონისძიებებს შრომისა და ომის ინვალიდებისა, მოხუცებულებისა და შრომის უნარმოკლებულ პირთა სოციალური უზრუნველყოფისათვის; დახმარებას აღმოუჩენს ფრონტზე ან სამსახურის მოვალეობის აღსრულების დროს მოკლულ წითელარმიელთა ოჯახებს;

ე) დანიშნავს და მოხსნის ობლებისა და არაქმედმაუნარიან პირთა მეურვეობას და მზრუნველობას იმ წესით, რაც დადგენილია ოჯახისა, მეურვეობისა, ქორწინებისა და სამოქალაქო მდგომარეობის აქტების კანონთა კოდექსით; დანიშნავს და მოხსნის მზრუნველობას ქონებაზე და აგრეთვე გაუწევს ზედამხედველობას მეურვეთა და მზრუნველთა მოქმედებას და შეამოწმებს მეურვეობაში მყოფ პირთა ქონებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კ. ეროვნული პოლიტიკის განხორციელების დარგში.

25. ეროვნული პოლიტიკის განხორციელების დარგში საქალაქო საბჭო:

ა) განახორციელებს საბჭოთა ხელისუფლების ეროვნული პოლიტიკის პრინციპებს მომქმედ კანონდებულებათა და ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების დირექტივების მიხედვით;

ბ) ხელმძღვანელობას გაუწევს ეროვნულ უმცირესობათა კულტურულ-ყოფაცხოვრების საჭიროებათა მომსახურეობის საქმეს.

ლ. სამხედრო დარგში.

26. სამხედრო დარგში საქალაქო საბჭო:

ა) ყოველგვარ დახმარებას გაუწევს ჩვენი ქვეყნის თავდაცვის საქმის გაძლიერებას, მუშათა და გლეხთა წითელი არმიისა და ფლოტისა, საჰაერო ძალებისა, ქიმიური თავდაცვისა და სხვ. განვითარებისათვის ხელის შეწყობით, კერძოდ ამ მუშაობაში საბჭოთა საზოგადოებრივობის ჩაბმით და სათანადო საზოგადოებრივი ორგანიზაციების (თავდაცვა-ავიოქიმის საზოგადოება და სხვ.) განვითარებისათვის ხელის შეწყობით;

ბ) მიიღებს ღონისძიებას სამხედრო ნაწილთა დასაბინავებლად და მათთვის კომუნალური მომსახურეობის გასაწევად, მომქმედი კანონების ფარგლებში;

გ) დახმარებას გაუწევს სამხედრო დაწესებულებებს წვევამდედთა მომზადებისა, ტერიტორიალური შეკრებისა, სამხედრო აღრიცხვისა, მორიგი გაწვევისა და მუშათა და გლეხთა წითელი არმიიდან და ფლოტიდან დათხოვნის საქმის განხორციელებაში და სხვ.;

დ) აწარმოებს ბრძოლას დეზერტირობასთან და სამხედრო სამსახურის მოვალეობისაგან თავის არიდებასთან;

ე) მიიღებს ღონისძიებას ყველა იმ შეღავათის განსახორციელებლად, რაც გათვალისწინებულია სამხედრო მსახურთა და მათ ოჯახთა შეღავათებისა და უპირატესობის კანონებით, განსაკუთრებით სამხედრო მსახურთა და მათი ოჯახის წევრთათვის სამკურნალო-სასანიტარო დახმარების გაწევის დარგში;

ვ) მიიღებს ღონისძიებას, რათა მუშათა და გლეხთა წითელი არმიისა და წითელი ფლოტის უფროსთა შედგენილობა უზრუნველყოფილ იქნეს საჭირო ბინებით.

თ ა ვ ი III

საქალაქო საბჭოს პლენუმი.

27. საქალაქო საბჭოს ახალი შედგენილობის პირველ პლენუმს მოიწვევს საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე არჩევნების გეგმით დაწესებულ ვადაზე.

28. პირველი პლენუმი აირჩევს თავმჯდომარეს, საქალაქო საბჭოს პრეზიდიუმს, სამანდატო კომისიას და მოისმენს საარჩევნო კომისიის ანგარიშს.

შემდეგში საქალაქო საბჭოს პლენარულ სხდომებს მოიწვევს საქალაქო საბჭოს პრეზიდიუმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

29. საქალაქო საბჭოს პლენუმის სხდომები გაიმართება თვეში ერთხელ მაინც.

საქალაქო საბჭოს პლენუმის საგანგებო სხდომა მოიწვევა პრეზიდიუმის ინიციატივით ან ქალაქის საბჭოს წევრთა არა ნაკლებ, ვიდრე ერთი მესამედის მოთხოვნით.

30. საქალაქო საბჭოს პლენუმის სხდომა, შეძლებისდაგვარად, მშრომელ მოსახლეობასთან ახლო უნდა მოეწყოს: ფაბრიკაში, ქარხანაში, პროფესიონალური შენაერთების შენობებში და სხვ.

სხდომის დრო და ადგილი, აგრეთვე დღის წესრიგი გამოქვეყნდება საყოველთაო ცნობისათვის სხდომამდე სამი დღით ადრე მაინც.

31. ქალაქის საბჭოს პლენუმის სხდომაში გადამწყვეტი ხმის უფლება აქვს მხოლოდ საბჭოს წევრს.

32. საქალაქო საბჭოს პლენუმის სხდომაში სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობას მიიღებენ ქალაქის საბჭოს წევრთა ყველა კანდიდატი, სათანადო ალმასრულებელი კომიტეტის განყოფილებათა გამგეები, და აგრეთვე, საქალაქო საბჭოს დადგენილებით, ფაქტიური შესაძლებლობის მიხედვით, ფაბრიკა-ქარხნებისა და ადგილობრივი კომიტეტებისა, პროფესიონალური კავშირებისა, სამხედრო ნაწილებისა, მუშა-ქალთა სადელეგატო კრებებისა და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

33. საქალაქო საბჭოს პლენუმის ყველა სხდომა საჯაროა და მას შეიძლება დაესწროს მშრომელი მოსახლეობის ფართო წრეები, გარდა იმ შემთხვევისა, როცა, საქალაქო საბჭოს ან მისი პრეზიდიუმის დადგენილებით, სხდომა დახურულად იქნება გამოცხადებული.

34. შემდეგი საკითხების გადაწყვეტა შეუძლიან მხოლოდ საქალაქო საბჭოს პლენუმს:

ა) ქალაქის ბიუჯეტისა, სესხისა და ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცება;

ბ) ქალაქის ბიუჯეტის კრედიტების ერთი კარიდან მეორეში გადატანა (მე-19 მუხ. „ბ“ პუნქ.);

გ) საბჭოთა ყრილობებისათვის დელეგატების არჩევა;

დ) საქალაქო საბჭოს პრეზიდიუმისა და სამანდატო კომისიის წევრების არჩევა და ვადის გასვლამდე არჩევა;

ე) საქალაქო საბჭოს სექციათა რიცხვის განსაზღვრა, სექციათა შორის მუშაობის განაწილების დამტკიცება და სექციებს შორის საბჭოს წევრთა განაწილება;

ვ) პლენუმისა და სექციების მუშაობის გეგმების დამტკიცება;

ზ) კულტურულ-განმანათლებელ, სამკურნალო და სამკურნალო-პროფილაქტიურ დაწესებულებათა ქსელის დამტკიცება;

თ) იმ საქალაქო სავალდებულო დადგენილებათა პროექტების დამტკიცება, რომელთაც განსაკუთრებით უარღესი მნიშვნელობა აქვთ (საბინაო ქირის ნორმების შესახებ და სხვ.).

35. გარდა იმ საკითხებისა, რაც საქალაქო საბჭოს პლენუმის განსაკუთრე-

ბული გამგებლობის საგანს შეადგენს და რაც ამა დებულების 34 მუხლშია გათვალისწინებული, ქალაქის საბჭოს პლენუმი განიხილავს:

ა) მოხსენებას ქალაქის მეურნეობისა და მმართველობის ყოველგვარი საკითხის შესახებ;

ბ) საქალაქო საბჭოს პრეზიდიუმის ანგარიშს;

გ) სამანდატო კომისიის მოხსენებას;

დ) საბჭოს სექციების მოხსენებას;

ე) მთავრობისა ან ზემდგომი აღმასრულებელი კომიტეტების წარმომადგენელთა მოხსენებას;

ვ) სხვა საკითხებს, რაც ქალაქის მართვა-გამგეობას შეეხება და რის განხილვასაც პლენუმი საჭიროდ დაინახავს.

36. საქალაქო საბჭოს შეუძლიან პლენარულ სხდომაზე განიხილოს, როგორც საკუთარი ინიციატივით, ისე ზემდგომი აღმასრულებელი კომიტეტის წინადადებით, ყველა საკითხი საერთო-სახელმწიფოებრივი აღმშენებლობისა და აგრეთვე საერთო-პოლიტიკური ხასიათისა.

37. რათა დეპუტატები გაეცნონ საქალაქო საბჭოს პლენუმის მორიგ სხდომაზე განსახილველი საკითხების შინაარსს, საამისოდ საჭირო მასალა, არა უგვიანეს ერთი კვირისა სხდომის დღემდე, უნდა დაეგზავნოს საბჭოს წევრებს წერილობით, ან ეს მასალა უნდა გამოქვეყნდეს პრესაში.

38. საქალაქო საბჭოს პლენუმის სხდომა კანონიერად ჩაითვლება, უკეთუ მას დაესწრო არა ნაკლებ ქალაქის საბჭოს წევრთა რიცხვის ნახევრისა.

შენიშვნა. ამა მუხლში აღნიშნული საქალაქო საბჭოს დამსწრე წევრთა რიცხვი სავალდებულოა არა მარტო საქალაქო საბჭოს პლენუმის სხდომის გასახსნელად, არამედ მთლად იმ დროის განმავლობაში, რაც სხდომა იმუშავებს.

თ ა ვ ი IV

საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი ორგანოები.

ა. ქალაქის საბჭოს პრეზიდუმი.

39. ქალაქის მმართველობის ყველა დარგში საქალაქო საბჭოს მუშაობის განსახორციელებლად და სექციების მოქმედებისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად საქალაქო საბჭო აირჩევს თავის წრიდან პრეზიდიუმს შემდეგი შედგენილობით: თავმჯდომარეს, მის მოადგილეს, მდივანს და წევრებსა და მათ კანდიდატებს იმ რიცხვით, რასაც დააწესებს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი.

40. საქალაქო საბჭოს პრეზიდიუმი ასრულებს საქალაქო საბჭოს და ხელისუფლების სათანადო ზემდგომი ორგანოების დადგენილებებს და საქალაქო საბჭოს ერთი სხდომიდან მეორე სხდომამდე იგი ხელისუფლების უმაღლესი ორგანოა ქალაქის ტერიტორიაზე ქალაქის საბჭოს უფლებათა ფარგლებში, იმ საკითხების გამოკლებით, რაც საქალაქო საბჭოს პლენუმის განსაკუთრებული გამგებლობის საგანს შეადგენს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა. საქალაქო საბჭოს პრეზიდიუმის სდომები მოიწვევა თვეში ორჯერ მაინც; კრება შემდგარად ჩაითვლება, უკეთუ მას დაესწრო არა ნაკლებ პრეზიდიუმის წევრთა საერთო რიცხვის ნახევრისა.

41. საქალაქო საბჭოს პრეზიდიუმი ანგარიშს ჩააბარებს საქალაქო საბჭოს პლენუმს წელიწადში ორჯერ მაინც.

42. საქალაქო საბჭო ქალაქის მმართველობის ყველა დარგში, გარდა კომუნალური მეურნეობისა იმ ქალაქში, სადაც დაარსებული იქნება კომუნალური მეურნეობის ცალკე განყოფილება, თავის მუშაობას აწარმოებს სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებათა მეშვეობით.

43. სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებანი განაცალკევებენ საქალაქო მუშაობას სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის მუშაობისაგან; საქალაქო მუშაობისთვის მათ აქვთ განსაკუთრებული სამეურნეო გეგმა და განსაკუთრებული ხარჯთაღრიცხვა, რომელიც შედის ქალაქის ბიუჯეტში, და ამ მუშაობისათვის პასუხს აგებენ საქალაქო საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის წინაშე.

44. საქალაქო საბჭოს და მისი პრეზიდიუმის ყველა დადგენილება და განკარგულება ქალაქის ხელმძღვანელობის სფეროში სავალდებულოა სამაზრო აღამსრულებელი კომიტეტის სათანადო განყოფილებათვის.

45. საქალაქო საბჭოს პლენუმისა, პრეზიდიუმისა და სექციებისათვის უშუალო მომსახურეობის გასაწევად საქალაქო საბჭოს შეუძლიან იყოლიოს ტეხნიკური აპარატი, რომელსაც განსაზღვრავს საქალაქო საბჭო თავისი ბიუჯეტის ფარგლებში.

ბ. საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე.

46. საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე განახორციელებს საქალაქო საბჭოს და მისი პრეზიდიუმის დადგენილებებსა და განკარგულებებს, თავმჯდომარეობს საქალაქო საბჭოს პლენუმის და პრეზიდიუმის სხდომებს და ხელმძღვანელობას გაუწევს საქალაქო საბჭოს ტეხნიკური აპარატის მუშაობას.

47. გადაუდებელი შემთხვევის დროს, საბჭოს პრეზიდიუმის ერთი სხდომიდან მეორე სხდომამდე, საქალაქო საბჭოს თავმჯდომარეს უფლება აქვს გასცეს განკარგულება და მიიღოს საჭირო ღონისძიებანი იმ საქმების გამო, რაც საქალაქო საბჭოს პრეზიდიუმის კომპეტენციას შეადგენს.

თ ა ვ ი V

საქალაქო საბჭოს სექციები და კომისიები.

48. საქალაქო საბჭოს ყველა წევრის საქალაქო საბჭოს პრაქტიკულ მუშაობაში ჩასაბმელად, იმ საკითხების წინასწარ შესამუშავებლად, რაც საქალაქო საბჭოს გამგებლობის საგანს შეადგენს, და საქალაქო საბჭოს და მისი პრეზიდიუმის ცალკე დავალებათა აღსასრულებლად, მოეწყობიან საქალაქო საბჭოს სექციები წევრთა ნებაყოფლობითი ჩაწერის საფუძველზე, ხოლო იმ აუცილებელი პირობით, რომ საბჭოს თვითეული წევრი ერთ სექციაში მაინც იღებდეს მონაწილეობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სექციები ხელს შეუწყობენ საქალაქო საბჭოს მუშაობას მთლიანად და აგრეთვე კონტროლს გაუწევენ საბჭოს აღმასრულებელი ორგანოების მუშაობას, ხოლო სექციების დადგენილებანი მარტოოდენ ქალაქის საბჭოს ან მისი პრეზიდიუმის დამტკიცების შემდეგ შედიან ძალაში.

ყოველი სექციის რაოდენობითი შედგენილობას განსაზღვრავს საქალაქო საბჭო.

49. სექციების რიცხვს განსაზღვრავს და მათ შორის მუშაობას გაანაწილებს საქალაქო საბჭო ამა ძირითად დებულებათა 34 მუხლის „ე“ პუნქტის წესისამებრ.

50. ქალაქის საბჭოსათვის სავალდებულოა შემდეგი სექციების მოწყობა:

ა) კომუნალური მეურნეობისა;

ბ) საფინანსო-საბიუჯეტო;

გ) კულტურულ-სოციალური;

დ) მუშათა და გლეხთა ინსპექციისა;

ე) სავაჭრო-კოოპერატიული;

ვ) სამხედრო;

საქალაქო საბჭოს დადგენილებით აღნიშნული სექციები, საჭიროებისადამიხედვით, შეიძლება დანაწილებულ იქნენ დამოუკიდებელ სექციებად (მაგალითად, კულტურულ-სოციალური სექცია შეძლება დაიყოს სახალხო განათლებისა, ჯანმრთელობისა და სხვ. სექციებად); ამის გარდა, შეიძლება მოწყობილ იქნეს სხვა სექციებიც (იურიდიული, საბინაო, შრომისა, მრეწველობისა სოციალური უზრუნველყოფისა, სამხედრო, სოფლის მეურნეობისა და სხვ.).

51. თვითეული სექციის შედგენილობაში, საქალაქო საბჭოს წევრთა გარდა, შედიან, სქალაქო საბჭოს მიერ განსაზღვრული რაოდენობით, საქარხნო-საფაბრიკო და ადგილობრივი კომიტეტებისა, მუშა-ქალთა სადელეგატო კრებებისა და ახალგაზრდათა ორგანიზაციების დელეგატები და მუშათა და გლეხთა წითელი არმიისა და ფლოტის წარმომადგენლები.

შენიშვნა 1. საქალაქო საბჭოს ან მის პრეზიდიუმს შეუძლიან ყოველი ამომრჩეველი, მისი თახხმობით, დანიშნოს წევრად ამა თუ იმ სექციაში.

შენიშვნა 2. სექციის შედგენილობაში აუცილებლად შედიან საქალაქო სამუშაოს სათანადო დარგების ხელმძღვანელნი.

52. საქალაქო საბჭოს ან მის პრეზიდიუმს შეუძლიან დროებით გაანთავისუფლოს ესა თუ ის დეპუტატი სექციაში მუშაობისაგან.

53. სექციის სხდომაზე ყველა მის წევრს გადამწყვეტი ხმის უფლება აქვს.

შენიშვნა. სექციის ცალკე სხდომაზე მიწვეულ პირს, როგორც, მაგალითად, ექსპერტს, სპეციალისტს და სხვ. სათათბირო ხმის უფლება აქვს.

54. სექცია აირჩევს თავისი წრიდან თავისივე რწმუნებამოსილობის ვადით ბიუროს, რომელშიაც შევლენ თავმჯდომარე, მდივანი და წევრები, სულ არა უმეტეს ხუთი კაცისა.

შენიშვნა. ბიუროს შედგენილობაში აუცილებლად შედის საქალაქო სამუშაოს სათანადო დარგის ხელმძღვანელი, ხოლო ეს უკანასკნელი არ შეიძლება სექციისა და ბიუროს თავმჯდომარედ იყოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

55. ბიურო აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოა სექციისა, რომლის წინაშეც იგი პასუხისმგებელია.

ბიურო მოამზადებს სექციის მიერ განსახილველ საკითხებს, შეჰკრეფს და და სისტემაში მოიყვანს საამისოდ საჭირო მასალას, აწარმოებს სექციისა და მისი კომისიების წევრთა აღნუსხვას, და აგრეთვე სექციის სხდომაზე დამსწრე სექციის წევრთა და სხვა პირთა აღნუსხვას, წარმართავს—კუთვნილებისამებრ—სექციის დადგენილებებს, თვალყურს ადევნებს მათ აღსრულებას და მონაწილეობას მიიღებს თავისი წარმომადგენლის მეშვეობით საქალაქო საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაში სათათბირო ხმის უფლებით.

56. სექციის გამგებლობის საგანს შეადგენს:

ა) მეურნეობისა და მმართველობის სათანადო დარგში მუშაობის გეგმების განხილვა;

ბ) სათანადო ორგანოთა ანგარიშის მოსმენა და მის შესახებ საქალაქო საბჭოს პლენუმის ან პრეზიდიუმისათვის დასკვნის მიცემა;

გ) საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ ორგანოთა მიმდინარე მუშაობის ძირითადი საკითხების განხილვა და მათ შესახებ დასკვნის მიცემა;

დ) მეურნეობისა და მმართველობის სათანადო დარგში დაწესებულებათა, საწარმოთა და სხვ. მუშაობის გაცნობა.

ე) სექციის წევრების იმ საწარმოთა და დაწესებულებათათვის მიჩენა, რომელნიც ქალაქს მომსახურეობას უწევენ მუშაობის ამა თუ იმ დარგში, რათა ამ გზით ხელი შეუწყოს და მეთვალყურეობა გაუწიოს მათ მოქმედებას;

ვ) ბიუროს მოხსენების მოსმენა სექციის გეგმებისა და გადაწყვეტილების შესრულების შესახებ;

ზ) საჭირო შემთხვევაში თავისი შედგენილობიდან მუდმივი კომისიების (ქვესექციების) მოწყობა—მეურნეობისა და მმართველობის სათანადო დარგში აღმასრულებელი აპარატის ცალკე ნაწილებთან მჭიდრო კავშირის დასამყარებლად;

თ) დროებითი კომისიების მოწყობა ცალკე საკითხების შესამუშავებლად;

ი) განხილვა სექციის ცალკე წევრთა მიერ საკუთარი ინიციატივით შეტანილი პროექტებისა, რაც მუშაობის ამა თუ იმ დარგს შეეხება, და აგრეთვე დაწესებულებათა, ორგანიზაციათა და ცალკე მოქალაქეთა მიერ შეტანილი პროექტებისა;

კ) მონაწილეობის მიღება საქალაქო საბჭოს სათანადო აღმასრულებელი ორგანოების მუშაობის ძირითადი საკითხების პროექტებისა და გეგმების შემუშავებაში და აგრეთვე ამავე ორგანოების მიერ მოწვეულ თათბირებსა, კონფერენციებსა და კომისიებში;

ლ) საქალაქო მუშაობის დარგში სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტეტის განყოფილებათა და აგრეთვე საქალაქო საბჭოს ქვემდებარე დაწესებულებათა და საწარმოთა გამოკვლევისა და რევიზიის ჩატარება.

შენიშვნა. გამოკვლევასა და რევიზიას სექცია აწარმოებს ქალაქის საბჭოს პრეზიდიუმის წინადადებით ან საკუთარი თაოსნობით, ხოლო თვითეულ ცალკე შემთხვევაში უნდა მიიღოს საქალაქო საბჭოს პრეზიდიუმის ნებართვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

57. ყველა საკითხი, რაც წინასწარ შემუშავებას მოითხოვს, შეიტანება სათანადო სექციაში განსახილველად საქალაქო საბჭოს პრეზიდიუმისა და სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილების მიერ, საქალაქო საბჭოს პრეზიდიუმის მეშვეობით, და აგრეთვე სექციებისა და მათი წევრების მიერ საკუთარი ინიციატივით, რაც უნდა ეცნობოს საქალაქო საბჭოს პრეზიდიუმს.

58. უკეთუ სექცია არ დაეთანხმება საქალაქო საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებას, სექციას უფლება აქვს საკითხი განსახილველად საქალაქო საბჭოს პლენუმში გადაიტანოს.

59. სექციის მუშაობას საერთო ხელმძღვანელობას გაუწევს საქალაქო საბჭოს პლენუმი და პრეზიდიუმი.

60. სექციის მუშაობის საერთო განრიგებასა და გეგმას შეიმუშავებს სექცია საქალაქო საბჭოს მუშაობის საერთო გეგმის მიხედვით და წარუდგენს დასამტკიცებლად საქალაქო საბჭოს პრეზიდიუმს.

61. სექციის სხდომა მოიწვევა საკალენდრო გეგმის მიხედვით ორ კვირაში ერთხელ მაინც.

62. იმ საერთო საკითხების განსახილველად, რაც ორ ან რამდენიმე სექციას შეეხება, საქალაქო საბჭოს პრეზიდიუმის განკარგულებით მოიწვევა სათანადო სექციათა პლენუმებისა ან ბიუროების სასექციათაშორისო სხდომა.

63. სექცია შეიძლება დაშლილ იქნეს საქალაქო საბჭოს პლენუმის დადგენილებით.

თავი VI

საქალაქო საბჭოს წევრთა და მათ კანდიდატთა უფლება-მოვალეობანი.

64. საქალაქო საბჭოს ყოველი წევრი ვალდებულია მონაწილეობა მიიღო საქალაქო საბჭოს, მისი სექციებისა და კომისიების ყველა სხდომაში და შეასრულოს მათი დავალება.

შენიშვნა. ის დაწესებულება, საწარმო და ორგანიზაცია, სადაც მუშაობს საქალაქო საბჭოს წევრი, ვალდებულია გაანთავისუფლოს იგი მუშაობისაგან იმ დროის განმავლობაში, რაც საჭირო იქნება საბჭოს, მისი სექციებისა და კომისიების სხდომაში მონაწილეობის მისაღებად და აგრეთვე საბჭოს მიერ მასზე დაკისრებულ დავალებათა შესასრულებლად.

65. უკეთუ საქალაქო საბჭოს წევრს არ შეუძლიან სხდომას დაესწროს ან შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობა, იგი ამას წინასწარ აცნობებს საბჭოს, სექციას ან კომისიას, კუთვნილებისამებრ.

66. საქალაქო საბჭოს წევრი, იმის გარდა, რომ მონაწილეობას მიიღებს საბჭოს, სექციისა და კომისიის სხდომაში და შეასრულებს მათ დავალებებს, მუშაობს, როგორც საბჭოს მიერ მიჩენილი პირი, საწარმოსა, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში ან ამომრჩეველთა გაუერთიანებელ ჯგუფებს შორის; შეძლების დაგვარად, მონაწილეობას მიიღებს მუშებისა, მოსამსახურეებისა და ამომრჩეველ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის ყველა საერთო კრებაში და აგრეთვე იმ სმწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა საწარმოო თათბირებსა და კონფერენციებში, სადაც იგი მიჩენილია; თვალყურს ადევნებს აღნიშნულ დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშაობას და საქალაქო საბჭოს და ხელისუფლების ზემდგომი ორგანოების დადგენილებათა განხორციელებას და განუმარტავს მათ საქალაქო საბჭოს ამა თუ იმ დადგენილებისა და ღონისძიების შინაარსს.

67. საქალაქო საბჭოს წევრს უფლება აქვს შევიდეს ქალაქის ყველა დაწესებულებასა და საწარმოში გამოუკლებლად, გაეცნოს მათ მუშაობას, ხოლო იმ პირობით კი, რომ არ ჩაერიოს მათ ოპერატიულ მოქმედებაში, და აგრეთვე მოითხოვოს საჭირო ცნობები და ახსნა-განმარტებანი, გარდა საიდუმლო ხასიათის ცნობებისა, რაც მას შეიძლება მიეცეს მხოლოდ საქალაქო საბჭოს პრეზიდიუმის განკარგულებით.

68. საქალაქო საბჭოს წევრს უფლება აქვს შეიტანოს თავისი ინიციატივით საქალაქო საბჭოში, მის სექციებსა და კომისიებში პროექტი და წინადადება საქალაქო საბჭოს ამა თუ იმ ღონისძიებისა და მისი განხორციელების წესის შესახებ.

69. საქალაქო საბჭოს წევრს შეუძლიან გამოვიდეს საბჭოს სახელით მხოლოდ იმ შეეთხვევაში, უკეთუ იგი რწმუნებამოსილი იქნება საბჭოს ან მისი პრეზიდიუმის მიერ.

70. საქალაქო საბჭოს წევრი თავის მოვალეობას საბჭოში, მის სექციაში და კომისიაში შეასრულებს უსასყიდლოდ; იმ შემთხვევაში, როდესაც დეპუტატის მოვალეობას, რაც ამა დებულებით არის გათვალისწინებული, საბჭოს წევრი სამსახურის დროს შეასრულებს, დაწესებულებას, საწარმოს და ორგანიზაციას, სადაც საბჭოს წევრი მუშაობს, უფლება არა აქვს გამოურიცხოს რაიმე საბჭოს წევრ-მუშას თუ მოსამსახურეს სამუშაო ხელფასიდან და აღნიშნული დროისათვის სასყიდელი უნდა მიეცეს მისი საშუალო სამუშაო საშოვრის ანგარიშით.

შენიშვნა. უკეთუ საბჭოს ესა თუ ის წევრი, საქალაქო საბჭოს ან მისი პრეზიდიუმის დავალების შესრულებასთან დაკავშირებით, მოსცდება საწარმოსა, დაწესებულებასა ან ორგანიზაციაში მუშაობას ერთ სამუშაო დღეზე მეტ ხანს, საბჭოს აღნიშნული წევრი ამ დროისათვის სასყიდელს მიიღებს ქალაქის ბიუჯეტიდან.

71. საქალაქო საბჭოს წევრი ანგარიშს წარუდგენს ამომრჩეველებს საბჭოში თავისი მოღვაწეობის შესახებ წელიწადში ორჯერ მაინც ამა დებულების მე-VII თავში აღნიშნული წესისამებრ.

72. უკეთუ საქალაქო საბჭოს წევრი ცოტად თუ ბევრად ხანგრძლივი დროის განმავლობაში ან სამუდამოდ დასტოვებს ამა თუ იმ ქალაქს, იგი ვალდებულია ეს გარემოება აცნობოს სამანდატო კომისიას, რომელიც საბჭოს წევრის არყოფნის დროის განმავლობაში, ქალაქის საბჭოს შედგენილობაში მიიწვევს პირველ კანდიდატს იმ საარჩევნო უბნის კანდიდატთა სიის მიხედვით, სადაც არჩეულია საბჭოს აღნიშნული წევრი.

73. საქალაქო საბჭოს წევრი არ შეიძლება დაპატიმრებულ იქნეს, უკეთუ ამის შესახებ წინასწარ არ ეცნობა საქალაქო საბჭოს პრეზიდიუმს, ხოლო სასწრაფო შემთხვევაში—საბჭოს თავმჯდომარეს.

განსაკუთრებულ შემთხვევაში საქალაქო საბჭოს წევრი შეიძლება დაპატიმრებულ იქნეს ხელისუფლების სათანადო ორგანოს მიერ, ხოლო ეს გარემოება შემდგომ უნდა ეცნობოს საქალაქო საბჭოს პრეზიდიუმს.

74. საქალაქო საბჭოს წევრის კანდიდატს გადამწყვეტი ხმის უფლება აქვს, როცა იგი ეწევა ქალაქის საბჭოს წევრობას კანდიდატთა სიის რიგის მიხედვით, უკეთუ საქალაქო საბჭოს წევრთა სათანადო რიცხვი არ არის, ხოლო სხვა შემთხვევაში—აქვს სათათბირო ხმის უფლება.

კანდიდატზე ვრცელდება საქალაქო საბჭოს წევრთათვის განსაზღვრული უფლება-მოვალეობანი.

თავი VII

დეპუტატის კავშირი ამომრჩევლებთან.

75. საქალაქო საბჭოს წევრი ანგარიშს ჩააბარებს ამომრჩევლებს იმ კრებაზე, რომელიც სპეციალურად ამ ანგარიშის მოსასმენად და განსახილველად იქნება მოწვეული. ეს კრება მოიწვევა საბჭოს ან მისი პრეზიდიუმის ინიციატივით და აგრეთვე თვით ამომრჩევლების მოთხოვნით.

76. ამომრჩეველთა კრების დრო და ადგილი გამოცხადებულ უნდა იქნეს 3 დღით ადრე მაინც კრების დაწყებამდე.

77. ამომრჩეველთა კრება შემდგარად ჩაითვლება, უკეთუ მას დაესწრო ამომრჩეველთა 35% მაინც. უკეთუ კრება არ შესდგა იმის გამო, რომ კრებაზე ამომრჩეველთა აღნიშნული რიცხვი არ გამოცხადდა, დაინიშნება ხელმეორე კრება არა უადრეს სამი დღისა პირველი არშემდგარი კრების შემდეგ; ხელმეორე კრება შემდგარად ჩაითვლება, რამდენი ამომრჩეველიც უნდა გამოცხადდეს.

78. ამომრჩეველთა კრებას გახსნის საქალაქო საბჭოს წარმომადგენელი, რომელსაც საბჭოს პრეზიდიუმი დანიშნავს, რის შემდეგაც კრება თვით აირჩევს პრეზიდიუმს კრების გასაძღოლად.

79. საქალაქო საბჭოს წევრი ერთი კვირის ვადაზე წარუდგენს საბჭოს პრეზიდიუმს მოხსენებას მის მიერ ამომრჩეველთა კრებისათვის წარდგენილი ანგარიშის შესახებ.

80. ამომრჩეველთა კრებისათვის ამა დებულების 72 მუხ. გათვალისწინებული ანგარიშის წარდგენის დამოუკიდებლად საქალაქო საბჭოს წევრმა უნდა გამოიყენოს მის ამომრჩეველთა ყოველგვარი კრება (საწარმოში, დაწესებულებაში, ამომრჩეველთა გაუერთიანებელი ჯგუფების რაიონული კრება და სხვ.), რათა გააცნოს მათ საქალაქო საბჭოს მუშაობა, საქალაქო საბჭოს, მისი სექციებისა და კომისიების წინაშე განსახილველად მდგარი უმნიშვნელოვანესი საკითხების და მიიღოს ამ ამომრჩეველთაგან სათანადო განმარტებანი საქალაქო საბჭოს მუშაობის ნაკლისა და ამ ნაკლის აცილების საშუალებათა შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი VIII

საქალაქო საბჭოს სამანდატო კომისია.

81. საქალაქო საბჭოს სამანდატო კომისია აირჩევა ახალი მოწვევის საქალაქო საბჭოს პირველი პლენუმის სხდომაზე სამი წევრისა და ორი კანდიდატის შედგენილობით.

82. სამანდატო კომისიის მოვალეობას შეადგენს:

ა) შეამოწმოს, საარჩევნო კომისიათან ერთად, საქალაქო საბჭოს დეპუტატების არჩევის სისწორე და წარუდგინოს საქალაქო საბჭოს პლენუმს საერთო მოხსენება არჩევნების დამტკიცების შესახებ;

ბ) აწარმოოს საქალაქო საბჭოს ყველა წევრისა და კანდიდატის პერსონალური და სტატისტიკური აღნუსხვა საარჩევნო უბნების მიხედვით და აგრეთვე სექციებისა და კომისიების იმ წევრთა აღნუსხვა, რომელნიც საქალაქო საბჭოს წევრები არ არიან;

გ) თვალყური ადევნოს, რათა საქალაქო საბჭოში არჩეული წევრები სისწორით იქნენ შეცვლილნი მათი კანდიდატებით, სათანადო საარჩევნო უბნის კანდიდატთა სიის რიგის მიხედვით;

დ) განიხილოს ყველა სხვა საკითხი, რაც ქალაქის საბჭოს პირად შედგენილობას შეეხება.

შენიშვნა. სამანდატო კომისიის დადგენილებას დაამტკიცებს საქალაქო საბჭოს პლენუმი.

საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკა

საქართველოს სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა.
მთავლიტი № 1132. დაიბეჭდა 1.000.